წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 16 ივლისი 1915 წ. № 45

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილით 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

პირველხარისხოვანი

სასადილო

„კაფე ბორდო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

„კაფე პარიზი"

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**
იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.
ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

ირ. ევდოშვილის

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსანს გადაეცემა.

„საქართველოს" რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა

0—10

# ომის დღიური

## მიმოხილვა

მდინარე დვინისა და ნემანის შუა ცხენოსანთა წინამავალთა ბრძოლა გრძელდება. კოვნოს სამხრეთ-დასავლეთით რუსის ჯარმა მდინარე ესას გაღმა გადარეკა გერმანელთა ის ჯარი, რომელიც ლამობდა კოვნოს მიახლოვებას სამხრეთით და მდინარე ნემანის ხელში ჩაგდებას. ნარევის ნაპირებზე ბრძოლა უკიდურესობამდე გამწვავდა. როგორც ეტყობა, გერმანელებს ნარევის მარცხენა ნაპირზე რამდენიმე ალაგას მოუკიდნიათ ფეხი, თუმცა მდინარის შუაგულზე, სადაც ნარევი რკალივით იკაკვება, და აგრეთვე პულტუსკის ქვემოთაც რუსის ჯარს ორივე ნაპირი უჭირავს. შეიძლება ითქვას, ორივე მოპირდაპირეს ერთი ფეხი მდინარის მარცხენა ნაპირზე აქვთ, მეორე—მარჯვენაზე, და ორივენი ცდილობენ ერთმანეთის მეორე ნაპირზე გადაგდებას. აქამდე ბრძოლის პირი პულტუსკისა და როჟანას შუა იყო გაჭიმული, ეხლა კი მას მარცხნივ და მარჯვნივაც გაუწევია და გაფართოვებულა. დღევანდელ დეპეშაში მოხსენებული სოფელი დობროლენკა მდებარეობს ოსტროლენკას სამხრეთით 6 ვერსზე, და ნარევის მარცხენა ნაპირზე 4 ვერსზე, რაიც ამტკიცებს რომ ოსტროლენკას მეციხოვნე ჯარიც უნდა იღებდეს ბრძოლაში მონაწილეობას. შტაბის დეპეშაში ნახსენებია აგრეთვე სეროცკი, რომლის მახლობლად გერმანელების დიდი ჯარი ჩარევია ბრძოლაში. სეროცკი მდებარეობს ციხე ნოვოგიორგიევსკის აღმოსავლეთით 25 ვერსზე, ბუგისა და ნარევის შესართავთან, ნარევის მარჯვენა ნაპირზე. ზოგან რუსის ჯარი წინ მიიწევს. მაგალითად, ს. ცეპელინთან მათ დაუტყვევებიათ 700 გერმანელი. მთელ ამ ფრონტზე სოფლები ერთი ხელიდან მეორეში გადადის და ბრძოლამ ისეთ წერტილს მიაღწია, რომ დღეს თუ ხვალ მისი ბედი უნდა გამოირკვეს.

თავის თავად ნარევის პირი, რომელსაც ერთ წვერზე ციხე ოსტროლენკა აქვს და მეორეზე—ნოვოგიორგიევსკი—ისე მძლავრად არის გამაგრებული და იმდენად ხელსაყრელია სტრატეგიულად რუსის ჯარისთვის, რომ მისი მდგომარეობა სახიფათოდ არ ჩაითვლება, მით უფრო, რომ გერმანელები ნარევის მარცხენა ნაპირზე ფეხის მოკიდებას ვერ ახერხებენ.

ვისლის გაღმა გერმანელებს კვლავ უცდიათ ვარშავისკენ წამოწევა სამხრეთ-დასავლეთით, მაგრამ აქაც უკუგდებულ იქმნენ. ვისლისა და ბუგის შუა,—უფრო ხოლმის მიმართულებით, მედგარი და მკაცრი ბრძოლაა წინანდელ ფრონტზე. ავსტრო-გერმანელები კვლავ აწვებიან დიდი ძალებით რუსის ჯარს ბუგის მარცხენა ნაპირზე და სოკალთან ისევ გადმოსულან ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ აქაც წინ ვერ წამოსულან.

სასწორი ამ ბრძოლისა ისევ სწორედ სდგას და ჯერ-ჯერობით არსაით იხრება.

მ. ზ—ლი.

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

## დეპეშები

**თბილისი, 14 ივლისი.** კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის რაიონში 12 ივლისს საარტილერიო სროლაა. მუშის მიმართულებით შეტევითი ბრძოლა სწარმოებს. ოსმალებს დიდძალი მაშველი ჯარი მოუვიდათ. ერთმა ჩვენმა მამაცმა ცხენოსანთა პოლკმა შეუტია მტერს, აჭკუწა ... დანარჩენი ეფრატის მარჯვენა ნაპირზე გადადენა. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ მომხდარა.

**პეტროგრადი, 14 ივლისი.** ოფიციალი უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან. დვინასა და ნემანის შუა არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ცხენოსანთა და მოწინავე რაზმთა ბრძოლა გრძელდება. კოვნოს სამხრეთ-დასავლეთით გერმანელები მდ. ესიკზე გადმოჰყარეს. ნარევის ფრონტზე 12-13 ივლ. ბრძოლა თანდათან მკაცრდებოდა და უმწვერვალეს წერტილამდე ალწევდა სოფ. დობროლენკასთან და ნოვოგიორგის ციხის რაიონთან. ნარევის მარცხენა ნაპირზე გერმანელთა ფრთის გაშლას რუსები ენერგიული კონტრიერიშებით აჩერებენ. მრავალი სოფელი და ქალაკი ხელიდან ხელში გადადის, განსაკუთრებით მძაფრ ხასიათს იღებს ბრძოლა როჟანის აღმოსავლეთით. 13 ივლისს საღამოთი გერმანელებმა დიდძალი მარქაფა ჯარები მოიშველიეს სეროცკის ზემოდ. ნარევის ორივე ნაპირებზე რუსებმა კონტრიერიშებით უკან დაახევინეს გერმანელებს. ს. ცეპელინის რაიონში რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 700 გერმანელი და დავლად დარჩათ რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი. გერმანელთა კონტრიერიში სოფ. კონსტანტინოვთან შეჩერებულ იქნა რუსთა ჯავშნიანი ავტომობილებით. ვისლას მარცხენა ნაპირზე 13 ივლ. განთიადისას რუსებმა ხიშტებით უკუ-აგდეს გერმანელები, რომელნიც სცდილობდნენ ნადარჟინ-პიასეჩნოს ფრონტს მოახლოვებულიყვნენ. ვისლა-ვეპრჟის შუა სრული სიჩუმეა, ხოლო ამ მდინარის აღმოსავლეთით და ბუგის შუა ბრძოლა არ შეწყვეტილა. რაკოლუპისა და მაიდონოსტროვსკის რაიონში გერმანელებმა 13 ივლ. საღამოს ძლიერი ძალებით მოიტანეს იერიშები და რუსთა თხრილების ერთი ნაწილი დაიჭირეს, მაგრამ კონტრიერიშით უკუგდებულ იქნენ. განსაკუთრებულ ენერგიით ძველებურად დიდი იერიშები მოაქვთ გერმანელებს გრუბეშოვის ჩრდილოეთით, თუმცა რუსებიც მაგრად უხვდებიან და აჩერებენ. სოფ. ანნოპოლის რაიონში რუსები სწრაფი კონტრ იერიშით ეკვეთნენ. ბუგზე, სოკალის რაიონში, სასტიკი ბრძოლაა. პოტუჟიცესა და ხსენებულ მდინარის ნაპირებზე ზოგიერთგან გერმანელებმა მოახერხეს გადასვლა. დნესტრისა და პრუტის შუა მტერს უშედეგოდ მოაქვს იერიშები.

შავ ზღვაზე რუსთა ნაღმოსნებმა ზარბაზნები დაუშინეს ნავთსადგურს—სამსუნს, უნგს და რიზას. ანატოლიის ნაპირებთან ჩასძირეს 150 მეტი იალქნიანი ხომალდი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ლიფლიანდიის გუბერნატორის განკარგულება.**

ლიფლიანდიის გუბერნატორმა განკარგულება დაუგზავნა მაზრის უფროსებსა და პოლიცმეისტრებს, ამ თავითვე სამზადისს შეუდგნენ, თუ ვინიცობაა მტერი მოადგა ლიფლიანდიის გუბერნიას, რომ ხალხი დროზე წამოვიდეს და თან წამოიღოს სარჩო-საბადებელი. განკარგულების ძალით მცხოვრებთ იძულებით ჩამოერთმევათ მსხვილ ფეხა საქონელი, ცხენები, ჭრილობის შესახვევი მასალა, ფურაჟი, საკვები, ქარხნების მანქანები, დაზგები, იმ მანქანების სპილენძის ნაწილები, რომელთა წაღება შეუძლებელია, ალიუმინის და ტყვიის ნივთები, მაუდი, ტყავეულობა და შაქარი. მცხოვრებლებმა უნდა ხელი შეუწყონ პურის დალეწვაში, და ასე დალეწილი პური ჩამოერთმევათ. ჩამორთმეულ მსხვილფეხა საქონელში, ცხენებში და ჭრილობის შესახვევ მასალაში მთავრობა ფულს აძლევს პატრონებს. თუ განკარგულება გამოვიდა, უნდა გაიტანონ აგრეთვე ზარები. უნდა მოახდინონ აგრეთვე ღორების ევაკუაცია, თუ ეს არ მოხერხდა, ნაბრძანებია დაჰკლან. ღორის პატრონს შესაფერი კვიტანცია მიეცემა, რომლის ძალით იგი ფულს მიიღებს. თუ წაღება არ მოხერხდა, ნაბრძანებია დაწვან და გაანადგურონ პური, თივა, კარტოფილი და საქარხნო მოწყობილობა, რომელიც მტრისთვის რითიმე გამოსადეგი იქნება. სახლი და მისი ავეჯეულობა ხელუხლებელი დარჩება, თუ რომ ისინი მტრისთვის გამოსადეგარი არ აღმოჩნდებიან. რუსის ჯარისგან დატოვებულ ადგილებში შეუძლიან დარჩენა ებრაელებს, ქრისტიან ქალებს და ბავშვებს, და იმ მამაკაცებს, ვინც ან თვრამეტ წლისაზე ნაკლებია ან ორმოცდა ხუთისაზე გადაცილებული. თვრამეტიდან ორმოცდა ხუთ წლამდე ყველა მამაკაცი უნდა გავიდეს იმ ადგილიდან, რომელსაც მტრის შემოსევა მოელის. თუ ნებაყოფლობით არ გავლენ, მაშინ ძალით იქნებიან წაყვანილი მუშათა კომანდაში.

**საფრანგეთი და გერმანია**

ომის დაწყებიდანვე გერმანიის პრესსა გერმანიის მოსისხლე მტრად ინგლისს ასახელებდა. ამ რამოდენიმე დღის წინ „Kôl. Ztg." კარლ ბლეიბტრეიმ წერილი მოათავსა, რომელშიაც ამტკიცებს, რომ უსაშინელესი მტერი გერმანიისა საფრანგეთია და არა რუსეთი და ინგლისიო.

„რუსკ. ვედ."-ს ლონდონიდან ატყობინებენ: ლონდონის გაზეთები აღმოსავლეთის ფრონტის ოპერაციის დაფასებაში აღნიშნავენ რუსების უპირატესობას: თუ რუსებმა გაიმარჯვეს, ამ გამარჯვებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება და თუ დამარცხდნენ, მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკარგება ომს; გერმანია ვერ შესძლებს რუსეთის ფრონტზე იმდენი ძალის მოგროვებას, რასაც რუსეთიო.

———

როგორც „კრ. ვესტნ." იუწყება, 19 ივნისს ტოკმაკში არეულობა მომხდარა. ქალთა და გოგო-ბიჭების ბრბოს გაუნადგურებია რამდენიმე მაღაზია, დუქნები და ზოგიერთი კერძო ბინები. პოლიცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ თუ მზგავსი განმეორდა, უსასტიკეს ზომებს მივმართავო.

———

„რუსკ. ვედ."-ს ატყობინებენ: თავად ტრუბეცკოის მოულოდნელი დაბრუნება ნიშში დამამტკიცებელია იმისა, რომ სერბია დათმობის გზას ადგება. მოსალოდნელია ბულგარეთს მაკედონია დაუთმონო.

**საზღვარგარეთ გასასვლელი პასპორტები.**

7 ივლისის სხდომაზე მინისტრთა საბჭომ მოიწონა საზღვარგარეთ გასასვლელ პასპორტების დროებითი წესები. ამ წესების მიხედვით ვისაც სურს უცხოეთში წასვლა, ვალდებულია სხვა საჭირო ქაღალდებთან ერთად პოლიციას წარუდგინოს ფოტოგრაფიული სურათი. პასპორტებში აღნიშნული უნდა იყოს, სად მიემგზავრება იგი და რა მიზნით. გარდა ამისა, აღნიშნული უნდა იყოს მისი სარწმუნოება, დაბადებითვე რუსეთის ქვეშევრდომია თუ შემდეგ მიიღო იგი, როდის მიიღო ქვეშევრდომობა და რომელ სახელმწიფოს ქვეშევრდომი იყო წინად. შინაგან საქმეთა მინისტრს ნება ეძლევა აუკრძალოს, როგორც კერძო პირს, ისე ჯგუფებს, საზღვარგარეთ გასვლა, თუ მათი გასვლა სამხედრო დროს მიხედვით მავნებელია.

**რეფორმები სასულიერო უწყებაში.**

ხმები დადის, რომ როდესაც უწმიდესი სინოდის ახალი ობერპროკურორი შეუდგება თავის თანამდებობის ასრულებას, სინოდი გაარჩევს შემდეგ კანონპროექტებს:

1) მრევლის რეფორმა თანახმად სახელმწიფო საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს შენიშვნებისა.

2) საშუალო-სასულიერო სკოლის რეფორმა: საერთო განათლების კლასების პროგრამა გაეთანასწორება გიმნაზიის კლასების პროგრამას. სღვთისმეტყველო კლასები იქნება ორი, ნაცვლად ოთხისა.

3) ცოლ-ქმართა გაყრის სამართლის რეფორმა: ახალ პროექტით ფორმალი დამტკიცება გაუქმებულია და მიღებულია უტყუარი არაპირდაპირი საბუთები.

4) სასულიერო კონსისტორიის რეფორმა: დაყოფა კონსისტორიისა ორ ნაწილად: სამსჯავრო-საადმინისტრაციო და დამოუკიდებელ საეპარქიო მართველობად.

ეს რეფორმა ჯერ კიდევ შარშან სინოდის ობერ-პროკურორი საბლერი დაჰპირდა სახელმწიფო საბჭოს. რაც შეეხება საეკლესიო კრების მოწვევას და სხვა უფრო შესამჩნევ რეფორმების განხორციელებას, სინოდში იმ აზრისა არიან, რომ ახალ ობერ-პროკურორის დანიშვნა ვერ დააჩქარებს ამ რეფორმების ცხოვრებაში გატარებას. (რუსკ. ვედომ.)

## ქალაქი და სიძვირე

(დასასრული)

მესამე საქმე საგმირო „პროგრესიულ ბურჟუაზიის" წარმომადგენელებისა ხომ აღემატება ყოველგვარ საზოგადოებრივ წარმოდგენას: თვითმართველობა თვითონ გამოდის სპეკულიანტ-ჩარჩის როლში და ხალხის გაჭირვებაზე აშენებს თავის ვაჭრულ მოგებას. ეს გახლავთ **შაქრის საკითხი.** ქალაქი დაიმშა შაქრით. ვაჭრების თავგასულობა იქამდის მივიდა, რომ გირვანქას 25—30 კ. ჰყიდდნენ, ან სულაც მალავდნენ, რომ უფრო გაეძვირებინათ იგი. ქალაქის გამგეობამ იკისრა „ხალხის შველა" და გამოიწერა შაქარი... ისევ სავაჭრო ბანკის საშუალებით და რადგან ალბად ბანკის მოგება თვითონაც გაუტკბა შაქარივით—გადასწყვიტა თვითონაც ესარგებლნა. და სულ

უბრალოდ, ხელის გაუნძრევლად მოიგო მაგალითად უკანასკნელ პარტიაზედ 10.000 მ. გაიგონეთ, ქალაქის თვითმართველობა სარგებლობს გაჭირვებით და ფულს იგებს შაქარზედ.

რომ გასინჯოთ ეს საქმე, გაშტერდებით გაკვირვებით უტიფრობის წინაშე. მოიტანეს უკანასკნელად 22 ვაგონი შაქარი ისევ სავაჭრო ბანკის საშუალებით და თვითონ დაადეს **თავის სახსარგებლოდ ფუთზე ექვსი შაური**. ასე გამოდის, რომ მცხოვრებლებმა უნდა გადაიხადონ ზედმეტად შემოტანილ შაქარზედ **ექვსიათას ექვსასი** (6600 მან.) ქალაქის სასარგებლოდ. ამას თუ დაუმატებთ იმას, რომ რამდენიმე ვაგონი თვითმართველობამ გაყიდა თითონ და მაშასადამე მოიგო ამაზედ მეტი, დაახლოვებით ფუთზე 65 კაპ., გამოვა, რომ შაქარის ოპერაციამ ტკბილად ჩაუარა ქალაქს და 10.000 მანეთამდი მოგება მისცა. რისთვის, რაში? იმაში, რომ ვაგონების შოვნა მოახერხა, ე. ი. თვისი პირდაპირი დანიშნულება შეასრულა. ეს კიდევ ცოტაა. როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, ქალაქის გამგეობა ყველა ასეთ საქმეს აკისრებს, არ ვიცით რატომ, მსხვილ კაპიტალისტთა „სავაჭრო ბანკს", რომელიც რაღა თქმა უნდა, ვერ ჩამორჩებოდა ისეთ „საზოგადო დაწესებულებას", როგორიც არის ქალაქის გამგეობა და სულ უკანასკნელი 10.000 მანეთს ისიც გაიკრავდა. ის ფულს მაინც აბანდებდა ამ ოპერაციაზედ და ვსთქვათ ამაში აიღო გემრიელი სარგებელი, მაგრამ თვითმართველობა რაში იღებდა საკომისიოს —ეს არ ვიცით. დაუმატეთ ამას ის გარემოებაც, რომ **ვაჭრებს**, რომლებსაც გადასცეს შაქარი გასაყიდათ **წინდაწინვე** გამოართვეს ნაღდათ, ვიდრე შაქარი მოვიდოდა ორი-სამი კვირის წინად და მაშასადამე აქაც ისეთი კომბინაცია შეიძლებოდა, როგორც ფქვილის ყიდვის დროს, ე. ი. უშუამავლოდ, უბანკოდ, მაგრამ...

მოგეხსენებათ ერთი ცხოველი თავის მაგვარის ძვალს არ გასტეხსო. თვით ეს გადაცემა შაქრისა ვაჭრებზედ ახირებული იყო: ამოირჩიეს **ორმოცი მსხვილი ვაჭარი** და დაავალეს: გაყიდეთ არა უმეტეს 8 მანეთისაო, ე. ი. ფუთზე ექვსი შაურის მოგება თქვენც შეგიძლიანთო. ამ გვარად ტკბილი განაწილება მოხდა ტკბილი მოგებისა ტკბილ შაქრიდან: **30 კ.** ქალაქის გამგეობას, ე. ი. მსხვილი ვაჭრების წარმომადგენელთ, **30 კ.** —თვითონ მსხვილ ვაჭართ და **ორ აბაზამდის**—სავაჭრო ბანკს. ე. ი. ისევ მსხვილ ვაჭრებს. მაშასადამე თითო ფუთ შაქარზედ, რომელიც იყიდა მომხმარებელმა, მას გადაახდევინეს მსხვილმა ვაჭრებმა ხელოვნური კომბინაციით, ანუ სპეკულიაციით—ზედმეტი **ერთი მანეთი** (ანუ გირვანქაზედ $2^1/_2$ კაპეიკი) და ძმურად გაინაწილეს. ასე აიაფებს თბილისის თვითმართველობა ცხოვრებას, და მისი ტკბილმოუბარი თავი ყველა ყრილობაზედ ქადაგებს საზოგადოებრივობას, პროგრსს და სხ. ტკბილ „საქმელებს" და ამავე დროს ნამდვილად ტკბილ შაქარს აძვირებს.

ჩვენ დღეს აღარ შევჩერდებით სხვა სანოვაგის და პირველ საჭიროების საგანთა ხელოვნურად გაძვირებაზედ, რაშიაც არანაკლები ბრალი მიუძღვის ქალაქის თვითმართველობას,—რადგან წერილიც გაგვიგრძელდა და ნათქვამიდანაც ნათლადა სჩანს ტენდენცია გაძვირებისაკენ და არა გაიაფებისაკენ, მაგრამ არ შეგვიძლიან არა ვთხოვოთ ყველა პრესის წარმომადგენელთ და ნამეტნავად რუსულისას — გადაბეჭდონ ჩვენი ცნობები, მიაქციონ ყურადღება ასეთ ანომალიას და საერთო მსჯელობა იქონიონ თუ **სად** ეძიოს საშველი ქალ. გამგეობის წინააღმდეგ—მცხოვრებმა. პრესა, პოლიცმეისტერი და ხალხის ღალადისი—ყველა ეს უქმი ლაყბობა ყოფილა ყოვლად შემძლე თვითმართველობისათვის და უნდა ახალი რამ საშუალება გამოინახოს „ჩვენი მამების" ალვირახსნილობის წინააღმდეგ, თორემ ცუდათ იქნება მოქალაქეთა საქმე, როდესაც გამგეობა არა კმაყოფილდება მსხვილი ვაჭრების წარმომადგენლების როლით და თვითონაც ამ ვაჭრის როლსა კისრულობს და მოგებას იღებს თვით გაჭირებიდანაც კი.

**მოქალაქე.**

# ივერიის ეკლესიის შესახებ

II

(სასულიერო ორგანოს გამოცემის საჭიროება).

ყოველს დარგსა და სფეროში ყოველთვის საჭიროა ამ დარგისა და სფეროს დამახასიათებელი, მისი სიგრძე-სიგანის სწორ-უპოვრობის გამათვალისწინებელი, მისი სულისკვეთების გამომთქმელი ორგანო. ეს ასე ყოფილა, არის და იქნება. ივერიის ეკლესიისთვისაც, მით უმეტეს, თუ ოდესმე საჭირო იყო, ამ ჟამად აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს სასულიერო ორგანოს დაარსება. მაგრამ როდესაც ასეთს მიუცილებელს და უსაჭიროეს საგანზე გვექნება საუბარი, მაშინ მის საჭირო საქმეს უნდა შევხედოთ არა ზერელე და ცალის თვალით, არამედ სალის, ობიექტიურის თვალსაზრისით და სახეში გვქონდეს როგორ პირობებში არსებობდა თუ იყო აქნამდისინ ასეთი ორგანო ჩვენში, როგორ შეასრულა მან თვისი დანიშნულება და თუ რაიმე ნაკლი ჰქონდა მას, შეიძლება თუ არა შეივსოს ეს ნაკლი, რომ პირნათლად ემსახუროს ნამდვილ მოთხოვნილებებს ივერიის ეკლესიისას.

მე-XIX საუკუნეში, როდესაც საერო მწერლობამ იჩინა თავი და აქა-იქ გამოაშუქა ლიტერატურის სხივმა, გამოჩნდენ სასულიერო ჟურნალისტიკის გამომხატველნიც.

მესამოცე წლებში ოვისის ინიციატივით და სასულიერო მთავრობის დახმარებით სემინარიის მასწავლებელმა დეკ. გიორგი ხელიძემ გამოსცა თვისის რედაქტორობით სემინარიასთან სასულიერო ჟურნალი „სასულიერო მახარობელი". პირველ ხანებში ამ ჟურნალში მხოლოდ ოფიციალური ნაწილი, ადგილობრივი და ცენტრალური სასულიერო მთავრობის განკარგულებანი, ბრძანებანი და ცირკულიარები იბეჭდებოდა—დანარჩენი, არაოფიციალური ნაწილი რუსულად იყო შედგენილი, თუმცა ამ რუსულ განყოფილებაში ხშირად ფრიად შინაარსიანი წერილები იბეჭდებოდა, როგორც რედაქტორისაგან, ისე ჩვენებური ჩინებული მწერლებისგან, შესახებ ივერიის ეკლესიის წარსულისა და აწმყო მდგომარეობისა. მერმე თანდათან ქართულ განყოფილებას მიემატა გვარიანი წერილები საქართველოს წმინდანების, ძველ მონასტრების და ნაშთების შესახებ, და აგრეთვე ხეირიანი სიტყვანი და მოძღვრებანი ამა თუ იმ ადგილას წარმოთქმულნი სხვა და სხვა პირებთაგან. ასეთი ჟურნალი, თუმცა უნაკლულო არ იყო, მაგრამ იმ დროს, როდესაც ყველას ყურზედ ეძინა, განცხრომაში იყო და ფიქრობდნენ—რაც გასაკეთებელია თავისით გაკეთდება ხელგაუნძრევლადაცო, მაინც დიდ განძად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ჟურნალმა რამდენიმე ხანს იღორძინა და შემდეგში, როგორც სხვა საქმე ჩვენებური, რომელიც საზოგადოების გულგრილობის წყალობით ფეხს [illegible] და ფესვს არ იდგამს საზოგადოებაში, შესწყვიტა თვისი არსებობა და „ჩაბარდა პატრონს", ჩვენებურები რომ იტყვიან. მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ ოთხმოციან წლებში, ერთმა სემინარიის რექტორმა, რომელსაც თავის გამოჩენა უფრო უნდოდა, ვინემ საქმისთვის თავდადება, იწყო დაძინებული ჟურნალის გამოღვიძება და სახელი იგივე უწოდა, მონათლა კი სხვა ემბაზში და სცხო სხვა მირონი და ზეთი. ეს გახლავს „Вѣстникъ Духовный Грузинскаго Экзархата". თავში ამ ჟურნალსაც ჰქონდა ოფიციალური ნაწილი ქართულ ენაზე იმავე სათაურით „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბე", იმავე შინაარსით, როგორც მ. ხელიძის დროს იყო. დაბოლოს ზედნადებივით, კანტი-კუნტად გამოდიოდა დამატებასავით რუსულიდან გადმოთარგმნილი სიტყვებით და წმიდანების ცხოვრების აღწერა. რუსული განყოფილებაც ძრიელ მშრალი და უშინაარსო გამოდგა. ერთ დროს ეს ჟურნალი ჩაიგდო ხელში ცნობილმა დეკანოზმა ი. ვოსტორგოვმა, რომელმაც გაიხადა თვისის რუსიფიკატორულ იდეების ცხოვრებაში გასატარებლად და რომელიც მის გვერდებზე გვიმტკიცებდა, რომ მეგრელები ქართველები არაა, რომ საეკლესიო სკოლებში ქართული ენა არ უნდა იყოს და სხ. გადავიდა აქედან მ. ვოსტორგოვი თუ არა, „სასულიერო მოამბეც" შეჩერდა.*) მხოლოდ ინოკენტი ექსარხოსმა ისახელა თავი, გამოაცემინა სასინოდო კანტორის პროკურორს მხოლოდ ოფიციალური ნაწილი და მათ გამოსაწერად საქართველოს ეკლესიებს სამ-სამი მანეთი დაადო. მას შემდეგ ვითომ ეს მჭლე „მოამბე" ცოტათი გაასუქეს, გაადიდეს, მაგრამ საქმე ღირსებაშია და არა სიდიდეში.

1882 წლიდან დამოუკიდებლად იწყო ცნობილმა დეკ. დ. ღამბაშიძემ თვისის საკუთარის ორ-კვირეული ორგანოს გამოცემა „მწყემსის" სახელწოდებით. ღმერთთან სწორი სჯობია, რომ თქვას კაცმა, ამ ჟურნალმა, თუმცა ხშირად პირადულ ანგარიშს [illegible] და რედაქციის სურვილ-ნებას [illegible], მაგრამ მაინც დიდი სარგებლობა მოუტანა სამღვდელოებას, წერა-კითხვის უცოდინარს მღვდლებს თვალები მოაფშვნეტინა და გამოახედვინა; ყველა დიდის აღტაცებით კითხულობდა და ასე თუ ისე პოულობდა შიგ სულიერ საზრდოს და კმაყოფილდებოდა. ამ ჟურნალში მონაწილეობას ღებულობდნენ და თავიანთ წერილებს ათავსებდნენ ისეთი პირები, როგორიც არიან ეპისკოპოსები კირიონი, ლეონიდე, დავითი, პროფესორები ხახანაშვილი, ცაგარელი, დ. ბაქრაძე, ფურცელაძე, ილურიძე, აკაკი და სხვ. რამდენიმე ხნის შემდეგ, რომ გაეცნო ჩვენი ეკლესიური ცხოვრება რუსეთის საზოგადოებისათვის, მ. რედაქტორმა გამოსცა რუსული ჟურნალი „Пастырь". დაუღალავის ენერგიით და ღვაწლით აწარმოებდა უსუბსიდიოდ მ. ღამბაშიძე ამ ჟურნალებს უკანასკნელ სულის ამოხდენამდე, ე. ი. 1910 წლამდე.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, თუმცა ჩვენის საუბრის საგანს არ ეხება, ამ პატივცემულის „რკინის" მღვდლის მ. ღამბაშიძის რამდენიმე წლის მოღვაწეობა სასულიერო და საერო ასპარეზზე დღემდი უჩინარი და თვალ-დაუნახავია, რადგან მისი ნაწერები გაფანტულნი სხვა და სხვა ჟურნალებში, ერთად არაა თავ-მოყრილი და ფართო საზოგადოება არ იცნობს. პატივცემულს მის ძეს ბ-ნ ვახტანგ ღამბაშიძეს არ ეპატივება სამშობლო ქვეყნის მოღვაწის და მისი მამის თვალ-ჩინებულ შრომას რომ თავი ვერ მოუყარა და მოზარდ თაობას არ გააცნო.

„მწყემსის" არსებობის დროსვე ქუთაისში გამოიცა სასულიერო ჟურნალი „შინაური საქმეები" მღ. ს. მჭედლიძის რედაქტორობით და დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების საფასურით. ეს ჟურნალი მეშვიდე წელიწადია გამოდის, მაგრამ ხამუშ-ხამუშად, ხან შეჩერდება და ხან კვლავ გამზეურდება. უკანასკნელ ხანებში მ. რედაქტორი ს. მჭედლიძე აცხადებს: თუ გვსურს კვლავ იარსებოს ამ ორგანომ, ხელის მომწერთა რიცხვი მაცნობეთ და ფულიც წინ და წინ შემოიტანეთ. „შინაური საქმეები", შესაძლოა. უცოდველი არ იყო, მაგრამ ჩვენთვის ძვირფასი განძი იყო და მისი შეჩერება დიდს ნაკლს ნიშნავს.

ა„მ შინაურ საქმეებს" თუნდ თავი დავანებოთ, საჭიროა უსათუოდ გამოიცეს

---

*) ვოსტორგოვის საქართველოდან გაქცევის შემდეგ ეს ორგანო ჩაიგდო ხელში ჩვენში ცნობილ სასულიერო და საერო მოღვაწეთა მცირე ჯგუფმა, რომელიც ჰპატრონობდა მას თითქმის ერთი წელიწადი. ეს იყო 1906 წელს, განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს, როდესაც სამღვდელოებასაც დაეტყო „განთავისუფლების" და გამოღვიძების სურვილი; ამ მხრით აღნიშნულმა ორგანომ იმ მცირე ჯგუფის ხელმძღვანელობით დიდი სამსახური გაუწია სამღვდელოებას. სხვათა შორის მაშინ დაისტამბა იმაში ის პროექტი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა, რომელზედაც გვებაასებოდა ბ. ახელი „საქართველო"-ს უკანასკნელ ნომერში.

**რედ.**

# მესხეთი

1. სახელოვან გეოგრაფოსის ვახუშტის სიტყვით, თავდაპირველად მთელს მესხეთს ისე, როგორც დანარჩენ ჩვენ მიწა-წყალს, ეწოდებოდა ქართლი ანუ საქართლო, საქართველო. შემდეგ მესხეთი გაიყო სამ საგამგეოდ.

მიდამო ფანავრის ტბიდგან კლარჯეთის მთამდე და შავ-ზღვამდე შევიდა მცხეთ-ქართლის მფლობელის გამგეობაში და ამ სამფლობელოს ქვემო ნაწილს ეწოდა **შიდა-ქართლი** (მცხეთ-არაგვიდამ ფანავრამდე), ხოლო ზემოს **ზემო-ქართლი**.

ზემო-ქართლს შეადგენდნენ **სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკეტი, ოლთისი** და **ტაო** ანუ ტაოსკარი.

მეორე საგამგეოდ ითვლებოდა ჯავახეთი, რომელსაც შეადგენდნენ **ჯავახეთი, არტანი** (არდაგანი), **ერუშეთი, კოლა და მტკვრის აღმოსავლეთი.**

მესამე ერთეულს წარმოადგენდა **კლარჯეთი**, რომელსაც შეადგენდნენ **თორთომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა** და **ჭანეთი.**

ყველა ეს ადგილები, გარდა ჭანეთისა, მომწყვდეულია მტკვრისა და ჭოროხის ხეობებში. მაგრამ იყო დრო, მაგ. მერვე—მეათე საუკუნეში, როდესაც ჩვენი მეფეები ბიზანტიის იმპერატორებს ეცილებოდნენ— არზრუმ-ბასიანიც ჩვენიაო. *)

ჭანეთს ანუ ლიაზისტანს დღეს უჭირავს ვიწრო ზოლი ჭანეთის-მთასა და შავ-ზღვას შორის ტრაპიზონამდე, მაგრამ მათი მფლობელობა უწევდა მდინ. ღალისამდე (ჭანურ-მეგრული **ღალისი** უდრის ქართულს **ღელისი**, ღელეს ხევი, მდინარე).

მეფე ლობაზიონის ჟამს (457—474 წ.) საქართველოს დასავლეთ მიჯნად დაიდო,—გამოჩენილ დანიელის შუაკაცობით, —ხუფათი ანუ ხოფა. ამ ხოფას იქით არის რიზა, რომლის დასავლით ჭანეთის მთიდამ ჩამოვარდების მცირე მთა ზღვამდე და ეს მთა საზღვრავსო, ამბობს ვახუშტი, საქართველოსა და საბერძნეთს, აქვე არისო რკინის-პალო და სატყეპელა და აქვე მეფე არჩილმა († 418 წ.) ააშენაო ციხე, ალბად, რიზაო. მის გაყოლება ხაზი ჭოროხის სათავის მთებამდე შეადგენს საქართველოში შემოსასვლელ კარს და იწოდება საქართველოს ყელად, რომელსაც ოსმალთა მფლობელობაში გადაერქვა გურჯი—ბოღაზი (=ქართლის ყელი).

ზედა-პირი მესხეთისა უსწორ-მასწორია, ღვლარჭნილი, კლდოვან-ღრატოვან-ღრიღლოვანი, მთიან-გორიანი. უდიდესი მთებია ფერსათი, არსიანი, მესხის-მთა, პარხალი და ჭანეთის, ანუ პონტოს მთა.

ამისთანა შენობის გამო „მთა-ბარი ახლორებს ესრეთ: ჟამისა ანუ ნახევარ ჟამისა ($^1/_2$ საათის) სავალითა არს თოვლი, და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთის-ხილი და ყოველნი ნაყოფნი" ხარობენ.

ამისგამოვე ადგილ-ადგილ ზამთარი ცივია, დიდ-თოვლიანი, ხოლო ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულობით კი ჰავა ზოგან შეზავებულია, ზოგან კი ცხელი, გაუძლასი. ცივი, გემრიელი და შემრჯო წყაროებით მეტად შემკულია ეს ქვეყანა.

ყოველი მარცვალი ნაყოფიერებს აქ, თუმცა არა ყველგან. მრავალნაირი ხილი ხარობს, მეტადრე ფორთოხალი. აქაურობა შემკულია წალკოტებითა, მტლებითა და საყარდეებით. მთა და ველი ფშვის შროშნით.

ვახუშტი განაგრძობს: „პირუტყვნი ყოველნი მრავლად, ნადირნიც, არამედ ქურციკი არა არს. ფრინველნი ურიცხვნი, გარნა დურაჯი, შხერო, ასკატა არა არს აქა. ჩიტნი და სირნი უამრავნი. მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარად მომდინარენი. წყარონი ტკბილნი, მშვენნი და კარგნი. ტბანი კეთილნი და თევზიანნი, და უმეტეს კალმახნი დიდნი და წვრილნი. არამედ ზუთხი არა არს მდინარე-ტბათა ამათ შინა, არცა კირჩხიბი. მწერნი და მძრომელნი ადგილ-ადგილ მრავალნი და ადგილად არა ეგოდენნი. ფუტკარი მრავალი, თაფლნი კარგნი და მრავალნი. ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაცა მცირედ. ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილშვენიერად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემმართებელნი, შვენიერნი, ცოდნახელოვნების მოყვარენი, არამედ აწ მაჰმადიანობის გამო, არღარა. ენა საკუთრად აქვსთ იგივე ქართული... ჭანეთში კაცნი არიან ხელოვანი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთა, დიდთა და მცირეთა. სარწმუნოებით აწ სრულიად მაჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოვებიან ქრისტიანენი და უწყიან ვიეთთამე კვალად ქართული ენაჲ".

მესხეთის დიდებულები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი მონასტრები, სასაფლაო, ციხეები და ყმა-მამულები, ესენი იყვნენ: კავკასიძეები (ამათ ეკუთვნოდა დიდებული პარხალი), სამძივარი, ავალიშვილი, სლესარი, ლასურიძე, თაქაირიძე, ხურსიძე, დიასამიძე, ბოცოსძენი, ოლიდასშვილი, შალიკაშვილი, ქამქამიძე, რჩეულიანი, ფროდიანი, უზნაძე, ფანასკერტელა, სპასალარნი, ხახულარნი, ანძაველნი, კოპასძენი, თუხარელნი, მინასრტიოშვილი. აქაურებივე იყვნენ გოგიბაშვილნი, ლონგისძენი, ლობერნი, ამატაკიანნი, ბულადარისშვილნი, ასპანისძენი, დუკისძენი და სხ.

მთელს მესხეთში მცხეთის კათალიკოზს ჰყვანდა 13 ეპისკოპოსი. ვურთავ მათ შესახებ ცნობას ძველის ძეგლიდამ:

„**მაწყუერელი** გვირგვინ-ბისონიანი არს. ამისი სამწყსო: ყვიბის-კორტანეთს შუა რომ წყარო დის, იმას ზეით ხეობა და სადგერი, სულ აწყური, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის-წყლის გაღმართი გურიის წადგომამდის.

**კუმურდოელის** სამწყსო: ხერთკის ზეით სულ ჯავახეთი სვეთამდი.

**იშხნელის** სამწყსო: გურჯი-ბოღაზს აქეთ, სულა თორთომი, ტაოს ქვემოთი არტანუჯის თავის საკრულავი ჰქვიან იმას აქეთი, გაღმა ორჯოხის მთის აქეთი, სულა საკავკასიძო ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდმოღმა.

**ანჩელის** სამწყსო: სამწყალს აქეთი ხანცას და ოპიზას შუა დახატულია, იმას ქვემოთი ნიგალის-ხევი, გაღმა და გამოღმართი გონიას საზღვრამდინ.

**მტბევარის** სამწყსო: დახატულას ზედათი ანაკერთს აქეთი სულა შავშეთი მიჯიხიანთ ბატონის კათალიკოზის იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა. აჭარა-დანდალათ ზეითი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა.

**წურწყაბლის** სამწყსო: ხურსიძის სახლი, სულა ბოცოთ-ხევი ხერთვის ქვეით.

**წყაროსთაველის** სამწყსო: ზევთი და იმას ზეით პალაკაციო კოლას საზღვრამდინ მტკვარს აქეთი. აქ არტანი.

**ერუშნელის** სამწყსო: ტალაშოს ზეითი, სულა არტანი კოლის საზღვრამდინ.

**ვალაშკერტელის** სამწყსო: ყალზევანს ზეითი ვალაშკეთს აქათ ხინუსი და დევაბოინს აქეთი.

**ანელის** სამწყსო: სულა ზარიშტიანი და შირავოინი და მალასბერეთი.

**კარელის** სამწყსო: სულა კარი და კოლისა და ოლთისის საზღვრის გარდმოღმა გაგჩევანი და კაღზევანი.

**ბანელის** სამწყსო: სულა ბანი, ტაოსკარი, ფანასკერტი, ჰარიზის ხეობა, სულა ოლთისი და ნარუმაკანი.

**დადაშნელის** სამწყსო: სულა კოლა და ხორტევანი ყარასალზედ მიდგმამდი".

ამ ეპისკოპოსებთ მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათალიკოზია; იმის ხელთ არის ყველა.

II. მესხი, იმერი, ქართლელი და კახი ძველი დროითგანვე ასე დაუხასიათებია ერის დაკვირვებას:

„პირველ თქმულია ძველთაგან
სიდარბაისლე მესხისა;
ზრდილნი არიან იმერნი,
მტერთა მიმცემნი რისხვისა;
პურადობა და ვაჭრობა
ქართლელს არა ეზრახისა;
მოსაწონია კაცისა
ომი და ლხინი კახისა".

ესენი თავიანთ განსაკუთრებულ თვისებებით ერთი მეორეს შეავსებდნენ, ამშვენებდნენ. ერთად, ძმურად მოღვაწეობდნენ მშვიდობიანობასა და ბრძოლა—ომის დროსაც. საერთო საქმეს ყოველი კუთხის ქართველი სალმთო შურით, თავდაუზოგველად ეტანებოდა. აგერ სამეფო

დროშა გაშალეს.
შეკრბა დიდუბეს ლაშქარი:
**კახი** ფარ-შუბით, **თუში** ხმლით,
**ფშავ-ხევსურს** ჰშვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერით **ქართლელი**,
ვით ციხე-ბურჯი მაგარი,

---

*) იმპერატორი კონსტანტინე ძოწითმოსილი სწერს 952 წელს: „ქართველთა მეფე აშოტმა არტანუჯი დაუთმოო იმპერატორს რომანოზ ლაკაპერს (920—944 წ.), მაგრამ ქართველმა მეფე გურგენმა და მისმა ძმამ შეუთვალეს, თუ ჯარს შემოიყვან არტანუჯში, განგიდგებით და სარკინოზებს მივემხრობითო. მიიღო-რა იმპერატორმა ესეთი განცხადება, მაშინათვე არტანუჯის ციხიდამ გაიწვიაო თავისი მეციხოვნეები. ამას წინად ბასიანი ეპყრათ სარკინოზებს. იმპერატორ ლეონმა (886—912 წ.) გაგზავნა ლაშქარი, რომელმაც აიკლო ბასიანი და თეოდოსიოპოლი (არზრუმი). ამ იმპერატორსა და მერე ლაკაპენსაც სურდათ დაეპყრათ ცეცეუმი, რათა მოესპოთ ამ ქალაქისთვის შეძლება სურსათი შეეტანა არზრუმში. მათ აღუთქვეს ქართველთა მეფეს, თუ დაიპყრობ არზრუმს, შენ გაკუთვნებთო, მაგრამ ქართველებმა ეს არ ისურვეს სიყვარულისა გამო იმ ქალაქის მცხოვრებლებისადმი და მიტომაც, რომ ქალაქის დანგრევის წინააღმდეგი იყვნენ. მაგრამ როდესაც ბიზანტიელებმა ააოხრეს ხსენებული ადგილები, მოვიდნენ ქართველები და დაიჭირეს ეს ადგილები არზრუმითურთ. მოხდა შერიგება. ბასიანის ნაწილი (არაქსის ჩრდილოეთის კიდეებიდამ მოკიდებული) დარჩა ქართველებს, ხოლო მეორე (სამხრეთისა) საბერძნეთს.

ისეთი ორგანო, რომელიც პირდაპირ დემოკრატიულ პრინციპზე იქნება აგებული, ივერიის ეკლესიის წყლულს გამოაშკარავებს, მისთვის მალამოს გამონახავს, გულშემატკივრებს გარშემოისხედს, აალაპარაკებს, სწორე გზას უჩვენებს, ყველგან და ყველაფერში მიზნად დაისახავს ნამდვილ ეკლესიას, როგორც საზოგადოებას, მის დღიურ ჭირ-ვარამს გამოაშკარავებს, სულიერს საზრდოზე მიუთითებს და ემსახურება იმ იდეებს, რომელსაც ემსახურებოდნენ და ახლაც ნათლად უძღვებიან რუსული პროგრესიული სასულიერო ჟურნალ-გაზეთები, ასეთი შინაარსის ორგანოები იყო რუსეთში და არის მაგ. „Вѣкъ“, „Живая Жизнь“, „Церковно-общественный Вѣстникъ“ და ჩვენი 1905 წ. გამოცემული „სიტყვა“. სამღვდელოებამ პირველ ყოვლისა უნდა გამოსთქვას თვისი მოსაზრება ასეთის ორგანოს დაარსების შესახებ. აქ საჭიროა ცნობილი საზოგადო მოღვაწე მეცნიერი ქართველები ლებულობდნენ მონაწილეობას ამ ორგანოს ხელმძღვანელობაში, რომ სასურველ და თანამედროვე პირობების მოთხოვნილების დაგვარად მოეწყოს ეს ეკლესიისათვის გამოსადეგი საქმე. რაც შეეხება საშუალებას იმის გამოსაცემად, ამაზედ ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან შეერთებულ ძალას ბევრი შეუძლია და ესეც არ იყოს, თუ ორგანო ნამდვილი ხალხის გულის ნადებზე იქნება აშენებული და მას ჭეშმარიტ საზრდოს მიაწოდებს, ყოველთვის გამოიყიდის თავის თავს და მკითხველიც ბლომად ეყოლება. ხალხის თქმით „თაფლი იყოს, თორემ ფუტკარი სტამბოლიდან მოფრინდება“. ყველგან ენერგია, სურვილი და გულ-შემატკივრობაა საჭირო, თორემ ზეციდან არაფერი ჩამოვარდება, როგორც ფიქრობენ ზოგიერთები.

ქ. გძელი.

# ახალი ამბავი

✦ **კიპრიზოვის მკვლელობა.** 13 ივლისს, საღამოს 8 საათზე, რევოლვორით მოჰკლეს საკუთარ სახლის წინ სოფიის ქუჩაზე 67 წლის მოხუცი ს. ხ. კიპრიზოვი. მკვლელი მიიმალა. განსვენებულმა ამას წინად, როგორც ჩვენს გაზეთში გვქონდა განცხადებული, საზოგადოება „განათლებას“ შესწირა ორსართულიანი სახლი, რომელიც რამდენიმე ათიათასი მანეთი ღირს.

ეჭვით შეიპყრეს მოკლულის შვილი და რამდენიმე გარეშე პირი.

✦ **ერთდღიური ფურცელი,** რომელიც აჭარლების სასარგებლოდ უნდა დაიბეჭდოს, როგორც სჩანს, ბევრი გასაღდება. გუშინ, 15 ივლისს, უკვე დაკვეთილი იყო 15,585 ცალი.

✦ **მსახიობი ვასო აბაშიძე** ცოტათი უკედ არის. მისთვის საჭიროა მოსვენება და სუფთა ჰაერი. როგორც გადმოგვცეს, დრამატიული საზოგადოების გამგეობა აპირებს დახმარება აღმოუჩინოს ძვირფას მსახიობს, რათა მან შესძლოს ახტალის აბანოზე წესვლა.

✦ **ერობა კავკასიაში.** თბილისში მოსკოვიდან ცნობა მოვიდა: კავკასიის წარმომადგენლებმა ბაქოს ქალაქის თავმა ბიჩმა, განჯის—ხასმამედოვმა და თბილისის ქალაქ. საბჭოს წევრმა ბაბოვმა მოსკოვის სიძვირესთან მებრძოლთა სხდომაზე საკითხი აღძრეს კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. წინადადებას სხდომა თანაგრძნობით შეხვდა. საკითხის დაწვრილებით გამოსაკვლევად აირჩიეს ახალი სექცია.

✦ **ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ** 14 ივლისს დაადგინა: 1) 1914 წლის 1 ივლისის კანონის ძალით, საზოგადოების ყველა სკოლაში მომავალი სექტემბრიდან საგნების სწავლება ქართულ ენაზე იყოს. 2) თბილისის საქველმოქმედო საზოგადოების ავლაბრის სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნოს კავკავის სკოლაში მასწავლებლად ნამყოფი ა. წერეთლის ასული ცაგარლისა. 3) რადგან ბათომში საზოგადოდ სწავლა არ იქნება ახლო მომავალში, ბათომის სკოლის მასწავლებლები ი. გოგოლაშვილი, ა. მგელაძე და ქ-ნი მ. ლომინაძე გადაყვანილ იქნენ საზოგადოების სხვა და სხვა სკოლებში. 4) საზოგადოების გამგეობის წევრი ლ. ბოცვაძე გაგზავნილ იქნას ახალსენაკში პედაგოგიურ თემებზე ლექციების მოსაწყობად, ამისათვის გადაიდოს 2 თუმანი. 5) სტუდენტს დ. ჩხეიძეს, რომელიც ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდიანტი იყო, ერთის წლით გაეგრძოს სტიპენდიის ძლევა. 6) სამხატვრო-სალიტერატურო წრესთან არსებულ სამკითხველოს ბაქოში ეგზავნოს საზოგადოების მიერ გამოცემულ წიგნების თითო ცალი. 7) პეტროგრადის სანიტარული რაზმის საბიბლიოთეკო სექციას გაეგზავნოს უსასყიდლოდ ერთი თუმნის წიგნები პეტროგრადში მყოფ დაჭრილ ქართველ ჯარისკაცთათვის.

✦ **სასწავლებელთა შენობების განთავისუფლება.** თბილისის ვაჟთა მეექვსე გიმნაზიაში, ქალთა მეხუთე გიმნაზიაში და პუშკინის სახელობის საქალაქო სკოლაში მოთავსებულია ქალაქთა კავშირის ლაზარეთები ეხლა ქალაქთა ბიუროს თავმჯდომარემ გადასწყვიტა ეს ლაზარეთები ერთს შენობაში მოათავსოს და ამგვარად ხარჯიც შემცირდება და სასწავლებლების შენობებიც განთავისუფლდება.

✦ **ხოლერის წინააღმდეგ.** გუშინ ქალაქის გამგეობამ დაბეჭდილი დარიგება გააკრა ქალაქის ყველა უბნებში. დარიგებებში აღწერილია, როგორ უნდა მოუაროს ხალხმა თავს, ხოლერა რომ არ შეხვდეს.

✦ **ახალი წესი მომრიგებელ შუამავალთა დანიშვნისა.** აქამდე არსებულ წესით მომრიგებელ შუამავალს ირჩევდა გუბერნატორი და დასამტკიცებლად მეფის მოადგილეს წარუდგენდა ხოლმე. თბილისის ქართველ თავად-აზნაურთა მარშალს მეფის მოადგილის კანცელარიამ შეატყობინა, რომ ამიერიდან მომრიგებელ შუამავალთა კანდიდატები მარშალმა უნდა წარადგინოს დასამტკიცებლად.

✦ **ქალაქის გამგეობის** წევრმა გ. დ. ჟურულმა ქალაქის დაწესებულებათ მოსთხოვა, რომ 20 ივლისამდე მასალები წარმოადგინონ მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვაში შესატანად,

✦ **რედაქციის გაჩხრეკა.** გუშინ გაჩხრიკეს „თანამედროვე აზრის“ რედაქცია. დააპატიმრეს გაზეთის ერთი თანამშრომელი და წაიღეს რამდენიმე ხელთნაწერი.

✦ **საარჩევნო სიები.** თბილისის ქალაქის საარჩევნო წინასწარი სიები უკვე შედგენილია და მიცემული დასაბეჭდად. დაბეჭდვის შემდეგ სიები სახალხოდ გამოცხადდება და ცენზიან მოქალაქეთ შეძლება მიეცემათ სიებს გაეცნონ და თუ რაიმე შეცდომას აღმოაჩენენ, შესწორება მოითხოვონ. ამრიგად გასწორებული სიები ხელმეორედ დაიბეჭდება და ისევ საერთოდ გამოცხადდება.

✦ **სცენის განახლება.** როგორც ვიცით, ახალი კლუბის საგანგებო კრებამ 15.000 მან. გადასდო ცეცხლისაგან განადგურებულ ქართული თეატრის სცენის განახლებისათვის. კლუბის მამასახლისთა საბჭომ თავად-აზნაურობის მარშალს ნებართვა სთხოვა სცენის განახლებისა. ამასთანავე იმავე საბჭომ მცოდნე კაცები მიიწვია სცენის გეგმის შესადგენად. მამასახლისთა საბჭოს იმედი აქვს, რომ ზამთრის სეზონისათვის სცენის გამართვას მოასწრობს.

✦ **სომხების ცენტრალურმა საქველმოქმედო საზოგადოებამ** 14 ივლისს ორი სანიტარული რაზმი გაჰგზავნა ვანსა და მალასკერტში.

✦ **სურსათი.** 14 ივლისს მოტანილია თბილისში: ფქვილი 5 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., შეშა 14 ვაგ., ქვის ნახშირი 1 ვაგ., ნავთი 14 ვაგ., სპირტი 1 ვაგ., კართოფილი 156 ფ., კიტრი 238 ფ., ბადრიჯანი 538 ფ., კარაქი 108 ფ., ხილეული 543 ფ., ნესვი 212 ფ., ღვინო 223 ფ.

## უმაღლესად დაჯილდოებულ იქნენ.

წმ. სტანისლავის პირველი ხარისხით (მახვილიანი): გენერალ-მაიორი ზაქარია **მდივანი;** წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხით (მახვილიანი და ბანტიანი): ვლადიმერ **ლეკვინაძე,** თავადი დიმიტრი **მარშანია.**

წმ. ანნას მე-4 ხარისხით, რომელზედაც აწერია „სიმამაცისთვის“: პოდპოლკოვნიკი თავადი გიორგი **მაჩაბელი,** უფროსი ექიმი ვლადიმერ **კლდიაშვილი,** მახვილით მე-4 ხარისხის ვლადიმერისთვის თავადი აბელი **მაყაშვილი.**

წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხით (მახვილიანი და ბანტიანი): ივანე **დემურია.**

წმ. ანნას მე-3 ხარისხით (ბანტიანი და მახვილიანი): პრაპორშჩიკი დავითი **აკოფაშვილი.**

## მოამხმარებელ საზოგადოების „მეურნის“ დამფუძნებელი კრება

14 ივლისს, საღამოს 9 საათზე, დაიწყო ხსენებულ საზოგადოების წევრთა კრება. თავმჯდომარეობდა პ. ა. გოთუა. კრების გახსნისას, თავმჯდომარის წინადადებით, რ. ა. გაბაშვილმა დამსწრეთ აუხსნა მიზანი საზოგადოებისა. როგორც მან განმარტა, ამ საზოგადოების დაარსება რამდენიმე კაცს განუზრახავს ორი წლის წინად, წესდება შეუდგენიათ და საქმეს შესდგომიან, მაგრამ მრავალ დაბრკოლებათა გამო საქმე არ განხორციელებულა. შემდეგ ასტყდა ომი და ამ საქმისთვის აღარავის ეცალა, მაგრამ ამავე ომმა მთელს რუსეთში და კერძოდ ჩვენშიაც ნათლად დაანახვა ყველას კოოპერატივების საჭიროება. „მეურნის“ მოჭირნახულენიც დაფაცურდნენ და მოისურვეს მიგდებული საქმის მოგვარება, მაგრამ გამკეთებელი საქმისა ცოტანი იყვნენ, რადგან საზოგადოების წევრთაგან ბევრი ომში წავიდა და სხვები აქეთ-იქით მიიფანტნენ; დროებით გამგეობისაგან მხოლოდ ერთი კაციღა დარჩა თბილისში. როგორც ორატორმა აუწყა კრებას, დღემდის 30 თუმნამდეა საწევრო ფული მოგროვილი.—ამის შემდეგ ბ-ნმა თავმჯდომარემ კრებას განუმარტა წესდების რამდენიმე მუხლი. მაგალითად, წესდებით საწევრო გადასახადია 1 მან., ხოლო პაი ღირს 10 მანეთი, მაშასადამე, თითო წევრმა უნდა შეიტანოს საზოგადოების სალაროში სულ 11 მანეთი. წესდებაში აღნიშნული არ არის, რამდენი პაის შეძენის უფლება აქვს თითო წევრს; ეს საკითხი, წესდების ძალით, უნდა გადასწყვიტოს საზოგადო კრებამ. აგრეთვე საზოგადო კრებამ უნდა გადასწყვიტოს, რამდენი კაცი უნდა იყოს არჩეული გამგეობაში და სხ. კრებამ, წმინდა ფინანსიური მოსაზრებით, დაადგინა, ვისაც რამდენი ესურვება, იმდენი პაი შეიძინოს; გამგეობის წევრად 5 კაცი იყვეს არჩეული და იმდენივე კანდიდატი. შემდეგ თავმჯდომარემ რამდენიმე ხნით კრება შესწყვიტა და არაწევრთ წინადადება მისცა, ვინც მოისურვებდა, ეხლავე ჩაწერილიყო წევრად, რათა უფლება ჰქონოდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. წევრებად ბევრი ხალხი ჩაეწერა. კრების განახლებისას შეუდგნენ არჩევნებს. კანდიდატების დასახელებამდე სურვილი გამოითქა, რომ საქმის გასაცხოველებლად, გამგეობაში მოჰყვეს მუშა ხალხის მხრივ 2 კაცი. გამგეობის წევრებად ერთმანეთთან შეთანხმებით დაასახელეს 10 კაცი. ამათგან ფარულ კენჭის ყრით გამგეობის წევრად იქმნენ არჩეულნი: გ. კანდელაკი, ე. ჩომახიძე, (მუშა), ი. ბალიაშვილი (მუშა), კ. ხახანაშვილი და თავ. მ. დ. ჭავჭავაძე; ამათ კანდიდატებად—ა. ორჯონიკიძე, ვ. ცაგარელი, ი. ზედგინიძე, მ. ლაღიძე და ი. ჯანგველაძე (მუშა). სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ე. ავალიშვილი, ს. ტარუაშვილი და კ. მაღალაშვილი; ამათ კანდიდატებად—გ. სულთანიშვილი და რ. გაბაშვილი.

კრება დასრულდა ღამის 12 საათსე.

# დეპეშა

**მოსკოვი,** 13 ივლისი. უკანასკნელ კრებაზედ სიძვირესთან ბრძოლის საკითხის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია იქნა გამოტანილი: „ვცნობთ რა აუცილებელ საჭიროებად, რომ ერობათა დაწესებულებანი შემოღებულ იქნას კავკასიისა და ციმბირის მხარის გუბერნიებში, ამასთანავე, ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ერობის რეფორმა არას გზით არ შეიძლება გადაიდოს ომის დასრულებამდე, კრება საჭიროდ სთვლის აცნობოს მთავრობას და სთხოვოს სახ. სათათბიროს წევრთ, რომელნიც კრებას დაესწრნენ, რომ სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ იქნას ამის შესაფერისი კანონპროექტი“.

# მზა და მზა

### ბოდბის მონასტერი.

სასიამოვნო მოსაზრება მოსვლია მეგობარს: წუხელის ორი ბედაური დაუქირავებია: თეთრი და შავი. საოცარია, როგორ გადურჩა ეს ორი მშვენიერი ცხენი ამდენს მობილიზაციას! ალბად პატრონებმა უჩინ-მაჩინის ქუდით თუ სადმე გადაჰმალეს.

— ბიჭოს, რა ამბავია, ახლა მხედრობაც გინდა მასწავლო!

— ამას დიდი საქმე არ უნდა, შეჯექ და მერე თითონ იცის...

— მერე სად მივალთ?

— ჯერ ბოდბეში, შემდეგ სიღნაღში...

ბოდბეს გახსენებამ სიხარულით აღმაფრთოვანა.

— წავიდეთ, წავიდეთ...

განმეორდა ძველი ისტორია: დიასახლისს უთენიებ გავეპარენით.

უკვე მინდვრად ვიყავით გამოსული, როცა განთიადმა ფრთა ჰკრა. მზემ ნელნელა იწყო ამოსვლა. უეცრივ მთელს კავკასიონის გრეხილზე ერთგვარი მირაჟი მოხდა: ისე მომეჩვენა, თითქოს ათასი მზე ერთად ამოდისო. ეს იყო ჩვენება, ზმანება, დიადი ფერების მისტერია, საიდუმლო დღესასწაული. მსგავსი მშვენება ჯერ არ უნახავს ჩემს თვალს. ცოტაც, ცოტაც და აი, მთელი კავკასიონი ჰაეროვან ხომალდად გაიშალა. იგი ვარდისფერ ნისლით ისე იმოსებოდა, როგორც მორცხვი ველის ყვავილი საგაზაფხულო მარმაშის სამოსელით. გრეხილი ჰაეროვანი აფრით მიმოსცურავდა ცეცხლის ზვირთთა მიმოქცევითა.

— ნუ მივალთ გზატკეცილით, ნუ,— შევნიშნე მეგობარს: ეხლა შევიგნე, თუ რა სისაძაგლეა ნატკეპნი გზით სიარული: ბული და მტვერი გვახრჩობს, ჩვენ კი ამას ვერ ვამჩნევთ. გავწიოთ უგზოუკვლოდ, გავწიოთ უტეხ ჭალისაკენ, ბუნების წიაღში, სადაც ჰაერი ჯერ კიდევ სუფთაა, ასეთი მტვრით არ მოუშხამიათ...

ბუჩქნარში გადვუხვიეთ, მაგრამ არ იქნა, ცხენები ალღოთი იკვლევდნენ გზას და ხელდახელ პატარ-პატარა ბილიკებს აღმოაჩენდნენ ხოლმე.

ჭალაკმა მალე ხევში გაგვიყვანა. ხევის წყალს ავდრობის დროს იქაურობა დაეგლიჯა. ნახავთ ვენახებს, იერიში მიუტანია, დაუგლეჯია, იქაურობა მიულეკმოულეკნია და ქვიშა და რიყით აუვსია. ეხლა დამწყდარა ხევის წყალი და თვალწინ მხოლოდ უგნური ნაომარის ქვიშნარიღაა.

ხევით გავწიეთ ზემო მხარეს. გვითხრეს, თუმცა გზა ცუდია, მაგრამ ბოდბე აქედან უფრო ახლოსააო. მართლაც, ნახევარი საათი არ გვევლო, რომ მშვენიერ წყაროს წავადექით. აქედან იწყებოდა სალმრთო ფერდობი. დავხედეთ საათს, ადრე იყო. ჩამოვხტით. წყაროს პირს დავისვენეთ, ცხენები იალაღზე გავუშვით საძოვრად.

ვსდუმდი. ფიქრთა ტალღამ წარმიღო. ჩემი მოსაუბრე მხოლოდ იდუმალად მოჩუხჩუხე წყარო იყო. ისე მეჩვენებოდა, თითქოს ყოველისფერი სიწმიდის ენით ჩამოჩურჩულებდა ბუნების ღვთაებრიობას და ღვთაების ბუნებრიობას! ჩვენ წინ ამართული გომბორის კალთა საღმრთო ტყის შრიალით სალამს გვიძღვნიდა. სიჩუმის ანგელოზი ფოთოლთა ჩურჩულით მოგვითხრობდა დიდებულ პოემას მშვენიერებისას, სადაც ღმერთები, წმიდა სულნი, ფრინველნი თუ მწერ-ქვეწარმავალნი, უსულო და სულიერი ისმენს საგალობელს, ჰიმნს დაუსრულებელ და საზღაპრო ნეტარებისას, ჰიმნს ნირვანას შვებისას და ზეალტაცებისას! ოჰ, ნეტარ არს, ვისაც ძალუძს წაიკითხოს პოემა იგი! ვისაც გული გაჰქვავებია, მოვიდეს, დაეწაფოს პოემის იდუმალ შადრევანს, იგი მოისხურება აიაზმით და იწყებს წმიდა ნერგის ყვავილობასა! ვინც კეთროვანებს, დაჰკარგვია სასოების ნარნარი თასი, მოვიდეს აქ, ჰსვას შარბათი ღვთაებრივი ოკეანიდან, იგი განიკურნება, იხილავს სიცოცხლეს და სიყმაწვილეს! თვალნი მიაპყართ იქ, იმ საიდუმლო ფარდის გარდაღმა ბუდედ გადმოკიდებულ წმიდანის საფლავს, აღდგებით მკვდრეთით, იხილავთ მზეს კურთხევისას, სიყვარულს სიყვარულისას და ზამბახს სპეტაკი სუმბულისას, თვით წმიდათაწმიდის რძის წყაროს სურნელოვნებას! დაემხეთ და თაყვანი ეცით ერის მოჩირაღდნე დედოფალს! თაყვანი ეცით ასულს, სინათლის ლამპრად აგზნებულსა! ნუ მჰმუნვარებთ, ნუ გაქვთ ეჭვი ცრუმორწმუნოებისა! დაე, ვისაც რა უნდოდეს ისა სთქვას! დაე, ლეგენდად და ზღაპრად აღიარონ ეს დიადი პიროვნება, დაე, მართლაც ზღაპარი იყოს იგი, ეს თქვენ არ გიშლით, რომ ლეგენდა იმად შეიყვაროთ, რომ ღვთაებრივია იგი. სპეტაკი, სულის მომლხენი და აღმამაღლებელი! ოჰ, ძვირფასი რამ არის სნეულ საუკუნეში თვით არ არსებულის გაღმერთებაც, თუ-კი რაოდენადმე მოგვმადლებს ძალღონეს, აღგვამაღლებს და გაგვამხნევებს სასოების ახალი სხივით! თაყვანი ეცით უხილავს, გუნდრუკად დააკმიეთ გრძნობანი თქვენი, სამადლობელი უგალობეთ ლეგენდის გმირ ქალს, ვის ხორციელებაში ეჭვის შეტანაც ძნელი არის!

თითქმის ერთი საათი დავყეთ აქა. შემდეგ შევედით ტყეში და პატარა ბილიკით ვიწყეთ ასვლა. ცხენებს უჭირდათ. ქოშინობდნენ. ბუჩქებზე და ცერად ამართულ ფერდობზე ხშირად უხვდებოდათ მიხვევ-მოხვევა. აღვირით ვეწეოდით. ძლივს მოგვდევდნენ ფეხ და ფეხა.

ფერდობზე მონასტრიდან მონაზონები გამოფენილიყვნენ. აქა-იქ კრიალოსანით ხელში ხის ძირას რაღაცა ფიქრს მისცემოდნენ: ძნელი იყო გამოცნობა, საღმრთო აზრებს მოეცვათ თუ ქვეყნის მშვე-

---

ოსი ფეხ-მარდი, **მთიული,**
ბრძოლაში შეუპოვარი,
**მესხი** სწავლითა ქებული,
გმირი **იმერი** ზრდილობით,
და მშვიდოსნობით **აფხაზი,**
**გურული,** მეგრი მკვირცხლობით...“

წინ რა დაუდგებოდა დაუძლეველი ამისთანა ერთობას!

ქვეყანა იმოსებოდა საკვირველ შენობებით, მოხატულ-მოჩუქურთმულებით.

ითხრებოდა რუ-არხები ურწყავ ადგილების გასანაყოფიერებლად, მწიგნობრობასა და მგოსნობას ფრთა ეშლებოდა.

ქართველობა შარავანდედით იმოსებოდა და მის იერსა და ჰანგს პატივით ეპყრობოდნენ კულტუროსანი ერები.

ამ მხრივ ქართველობას მოელოდა უმეტესი ზრდა-განვითარება, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, დიდებული მესხეთი მის-და უნებურად გამოვარდა საერთო შეწყობილობიდამ და მით შეასუსტა საქართველოს სამეფოს ძარღვის ცემა.

უკუღმა ტრიალი იწყო მონგოლების შემოსევის დროიდამვე. საქართველოს მტრების წაქეზებით განდგნენ მესხეთის ათაბაგები. თავიანთ-თვის ცალკე სამართალიც შემოიღეს (ბექა-აღბუღას კანონები). „მეფე“ მზებუკმა ანტიოქიის პატრიარქს დოროთეოსს საათაბაგოს სამღვდელოებაც გამოაყოფინა მცხეთის საკათალიკოსოდამ და დაუმორჩილებინა აწყურის სამიტროპოლიტოს (იხ. ეპისტოლე ამ დოროთეოსისა საეკ. მუზ. № 193). რაჲ დღე, ათაბაგები უფსკრულისკენ მიაქანებდნენ თავიანთ საათაბაგოს. 1626 წელიწადი შეიქმნა საბედისწეროდ. უარყოფილ იქმნა ქრისტიანობა და მასთან ერთად მამა-პაპათა მიერ შეძენილი და დაზოგვილი საქრისტიანო კულტურა. ყველა გამაჰმადიანდნენ. ეპისკოპოსები განდევნეს. წიგნები მოსპეს. სალოცავები შეიძულეს. საყდრები დააქციეს ან მიზგითებად გადააკეთეს. რის შემუსრვაც ვერ მოახერხეს, დასტოვეს ვერანად. აღსრულდა წინასწარმეტყველის სიტყვები (ესაია 33, 13—15; იერემ. 50, 39): „ქალაკთა შინა დაემკვიდრნენ ურჩხულნი; ქალაქთა შინა აღმოსცენდნენ ეკალთა ხენი, ციხენი მათნი იქმნენ საყოფელად ურჩხულთა და სამკვიდრებელად სირთა, და შეითხვივნენ ეშმაკნი და ვირ-დევნი... მუნ განისვენებენ ვირდევნი, მუნ მართველნი იხსნენ გძლარბთა, მუნ შეკრბნენ ნადირნი“.

მის შემდეგ მესხეთმა ვერ აღმოაცენა ვერც ერთი მნათობი, მაშინ, როდესაც დანაშთენ საქართველომ აღმოაყვავილა მთელი რიგი სჯულმდებლებისა, მემატიანეებისა, მეიგავ-არაკეთა, პირველ-ხარისხოვან მგოსნებისა (გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი) და სხ. მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა.

უამათოდ, უწიგნ-უგაზეთოდ, უსკოლოდ... რა ვიქნებოდით დღეს ჩვენ? თუ ამერ-იმერიც იმ ბედ-შავ 1626 წელს გაჰყოლოდა მესხეთის გზა-კვალს, განა დარჩებოდაღა სადმე საქართველო, ქართული სული?

მაგრამ ჩვენი სატრფიალო მესხეთი თუმცა წარწირულა, გარნა არ განწირულა. დაცემას აღდგომაც მოსდევს. სიკვდილი სიცოცხლესაც ჰშობს. აგრე ხალისდება, მაგ., საარაკო ფრინველი ფინიქსი: იწვის, რომ კვლავ აღორძინდეს.

ჭირნახულმა მესხეთმა საკმაოდ დაისვენა, და დასვენებული ორკეც ძალით შეუდგება იმის ამოვსებას, რაც დააკლდა ამ 300 წლის განმავლობაში. შეუძლებელიაო, ამბობს ერის სიბრძნე, დამშრალი რუ ისევ არ ახმაურდესო. შეუძლებელია, რომ მესხებმაც დაივიწყონ თავიანთი ფრიად ნაყოფიერი წარსული, თავიანთ მამა-პაპათა ბრწყინვალე მესხეთი, სამცხე-კლარჯეთ-ჭანეთი, ე. ი. აკვანი საქართველოს დიდებისა, უძვირფასესი სპეკალი ქართველ მეფე-კურაპალატების გვირგვინში. მესხეთი ქართველობისთვის ის არის,—წინსვლა-განათლების საქმეში,—რაც საბერძნეთი კაცობრიობისათვის.

(დასასრული იქნება)

მ. ჯანაშვილი.

ნიერებიდან დაშორებას ფიქრთა ცრემლით დაჰქვითინებდნენ...

აგერ, გამოჩნდა მონასტერიც. გულმა ორმაგი კვნესით იწყო ძგერა: მშობლიურ აკვნის ნახვით თუ ერთ მხრით აფანცქალდა, არტახების უცხოობით დაიწყო გმინვა. აღრევა უქმური თვალს გეცემათ. აი ტაძარი და აგერ მისი სამრეკლოც. ტაძრის კაპიტალური რესტავრაცია მოჰხდა ბოდბის უკანასკნელ მიტროპოლიტ იოანესგან. მან ის მაინც ილონა, რომ სტილი და სული უძველესი დასტოვა, ქართული, არ შეუბღალნია იგი. სამაგიეროდ ჩვენმა ნოვატორებმა ახალი რესტავრაციით სულ ერთიანად დაამახინჯეს და ჩვენი სიძველის საუნჯეს დათვური სამსახური გაუწიეს. სხვა რომ არა ვთქვათ რა, საკმარისია გავიხსენოთ საბინინის მოღვაწეობა. რამდენადაც სასარგებლო იყო ეს პიროვნება ჩვენს წმიდანთა სახეების აღდგენაში, იმდენად საზარალო თვითნებობით. მან პირველმა წერაქვი დაჰკრა და ძველ სამრეკლოზე ახალი დაადგმევინა ისიც არამშობლიური ხუროთმოძღვრების თანახმად, არამედ რუსულ სტილზე. მან პირველმა ჩამოხსნა კანკელიდან ღვთისმშობლისა და მაცხოვრის სურათები და მოსკოვიდან მოტანილ ხატებით „დაამშვენა“ იგი. კიდევ კარგი, დროზე შეაჩერეს იგი, თორემ ვინ იცის, როგორ და რა სახით არ გამშვენიერებულიყო უკვდავება-მოსილი საღმრთო ტაძარი.

უეჭველია მოგეხსენებათ, რომ აქ 1888 წლიდან ალექსანდრე მესამემ ინახულა ეს წმიდა ადგილი და ჰბრძანა, სკოლა დაეარსებინათ ქრისტიანობის გასავრცელებლად. ეს უკვე ლურსმანი იყო, რომელიც კახეთის გულში სოლსავით ჩაეჭდო. ერთი წლის შემდეგ აქ გაიხსნა ქალთა მონასტერი. ნელ-ნელ გაიზარდა იგი და დღეს ამ მხარის განმანათლებლად აქ დიდძალ მონოზნებს მოუყრიათ თავი. აქ, სხვათა შორის, მხატვრობასაც სწავლობენ დები. მათი მოქმედება იმდენად ფართოა, რომ დაუკითხავად მოინდომეს საბინინის მოქმედების დასრულება: აიღეს ფერადები და და ვითომც „აღდგენდნენ“ ძველს სურათებს. თუ რა განახლებაა ეს აღდგენა, იქიდანაცა სჩანს, რომ არც ერთს სურათს, სადაც მათ თავ-ნებად ფერადები შეათითხნეს, ქართული სახე აღარ აძევსთ. აიღეთ, მაგალითად, ბიძინას ხატი. დააცქერდით კარგად: სქელი, მოქერაო წვერი, მუქი ლურჯი თვალები, მეტყველება ცივი, რა აქვს გეთაყვათ, ამას ქართული გარდა ერთი წარწერისა? კიდევ კარგი, რომ ახალი განკარგულებით დებს აკრძალული აქვთ აღარ განიმეორონ ხატების „განახლება“.

(შემდეგი იქნება)

დ. კასრაძე.

## ჩვენი ცხოვრება

**ს. ცაიში.** ეს სოფელი დაჯილდოვებულია დაფნით. წლიურად ორას ფუთამდე იგზავნება რუსეთში. სოფელში არსებობს წვრილი საკრ. ამხანაგობა, ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, საქალებო და აფთიაქი. წრეულ სოფელმა ნიაღვრებისაგან დიდი ზარალი ნახა.

---

**ზუგდიდი.** პარკის სეზონი დაიწყო. ვაჭრების აღვირახსნილობამაც წამოჰყო თავი. სცდილობენ ხელოვნურად პარკის ფასი დასცენ. ვინც მათ ოსტატობას არ აჰყვება, ვაი მას, ბედს აწყევლინებენ. იყო ისეთი შემთხვევა, რომ ერთი ვაჭართაგანი, რომელიც არ დაემორჩილა მათს განკარგულებას, დიდად დააშავეს, თავი ქვით გაუტეხეს. დროა მათ თავგასულობას მოეღოს ბოლო.

---

**ხევი.** (დუშეთის მაზრა). სულ ოცი სოფლისგან შესდგება ხევი. არსებობს სამი ორკლასიანი სასწავლებელი და სამიც ერთ კლასიანი. აქვთ წვრილი სესხის ამხანაგობაც. სწავლის წყურვილი დიდია. სიღარიბე მძვინვარებს. მთელს ხევში არც აფთიაქი და არც ფერშალი მოიპოვება, რის გამოც უბრალო ავადმყოფობაც საშინელ მოვლენად ითვლება ხოლმე.

---

**ზუგდიდის მაზრა.** მიიღეს 900 ფუთი სიმინდი და ათასი მანეთი ფული დაზარალებულთა დასახმარებლად. მაზრა სამ კატეგორიად გაიყო. პირველ კატეგორიაში მოჰყვნენ ქვალონი, ხორგა, ხობი, დიდინეძი და დარჩელის საზოგადოებას, სათითაოდ მიეცათ 80—80 ფუთი; მეორე კატეგორიაში მოჰყვნენ ყულის კარი, კორცხელი, ზუგდიდი, წალენჯიხა და ჭოლა, 40—40 ფუთი მიეცა თვითეულს. მესამე კატეგორიას შეადგენენ ცაიში, კახათი, კოკი, ნიკოსია, ჰაქვინჯი, ჯგალი, მუხური, ჩხოროწყუ, ლერწუმე, კირცხი, სინწა და სხვები. მიეცათ 18—18 ფუთი. ფულიც შესაფერისად განაწილებულ იქნა.

---

**სოფ. საზანო-ალის უბანი.** (შორაპნის მაზრა). სოფელი მდიდარია მიწით, ვენახით. მართალია, წყალდიდობამ აქაც ათი ათას მანეთის ზარალი მიაყენა, მაგრამ შედარებით მოსავალს კარგი პირი უჩანს. უგზოობა აჰირვებს საქმეს. იყო შეკითხვა სკოლის გახსნის შესახებ. ხალხი სიამოვნებით შეეგება გარდა პატარა ჯგუფისა. სკოლის გახსნას ახლო მომავალში მოელიან.

---

**დ. გალი.** (სოხუმის ოლქი). ეს დაბა მეგრელებით არის დასახლებული, ზუგდიდიდან 19 ვერსის მანძილზე მდებარეობს. არსებობს სამრევლო-სამასწავლებლო სკოლა. იგი 3 კლასიანი სასწავლებელია, აქვს ოთხი მოსამზადებელი განყოფილება. სკოლაში იზრდებიან მეგრელები, სვანები და აფხაზები. სწავლის დამთავრების შემდგომ მასწავლებლებად მიდიან ხსენებულ მხარეებში.

არის მეორე სკოლაც, ქალთა სასწავლებელი· სამწუხაროდ არც ერთ ამ სასწავლებელში ქართულს არ ასწავლიან. ყველა საგნებს რუსულ ენაზე გადიან. მართალია 1905—6 წ. შემოიღეს ქართული ენაც, მაგრამ ისევ დაიხურა, ვითომც სალსარი არ არისო. ქართული ენა კი დიდ საჭიროებას წარმოადგენს. რაც უნდა იყოს, აქედან ხომ მასწავლებლები გამოდიან, დიაკვნები და ხშირად მღვდელ-მსახურებასაც აკისრებენ. სვანეთში, სამეგრელოში და აბხაზეთში უმეტეს შემთხვევაში ქართულად უხდებათ მღვდელ-მსახურების შესრულება.

თუ რა მასწავლებლებს ზრდის გალის სასწავლებელი, აი ამისი ნიმუშიც: ხობის მონასტრის სასწავლებელში მასწავლებლობს ისეთი ადამიანი, რომელსაც სწორედ გალში აქვს სწავლა-განათლება მიღებული. უნდა ნახოთ, როგორ იტანჯება და რა სატანჯველს აყენებს ბავშვებს ქართული ენის სწავლების დროს. არც თვითონ იცის ქართული ენა, ჩიქორთულად ამტვრევს, მთელს წინადადებას ამახინჯებს. როცა დავესწარი ერთხელ მის გაკვეთილზე, მასწავლებელი წითლდებოდა თავის თავზეც და მოწაფეების გამოისადაც. აი ასეთ მასწავლებლებს უხდებათ სვანეთ-სამეგრელო-აბხაზეთში გამწესება და რა ნაყოფსაც მოიტანს იგი, ადვილად ასახსნელია.

ქართ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ ნება გამოითხოვა თავისი ხარჯით ქართული ენა ასწავლებინოს ხსენებულ სასწავლებლებში. ეს თხოვნა შეწყნარებულ იქნა. ენკენისთვის პირველიდან სწავლას შეუდგებიან. ქართულ ენის მასწავლებლად დაანიშნა ბ-ნი ჭარაია, ხოლო ქართულ გალობის ხელმძღვანელად ბ-ნი გრ. ქავთარაძე.

ს—ნი.

## დეპეშები

**ლონდონი,** 12 ივლ. დღეს მთელ ლონდონში პარაკლისს იხდიდნენ მეფის, ერის და ჯარის საკეთილდღეოდ. ერთ ასეთ დიდებულ პარაკლისის შემდეგ ლონდონის ეპისკოპოსმა სიტყვა წარმოსთქვა, სადაც ქებით მოიხსენია საფრანგეთი და ბელგია. შემდეგ რუსეთს შეეხო: რუსეთის დამარცხება არ შეიძლება სანამ ქვეყანა არსებობს არა იმიტომ, რომ ის თავის ტერიტორიით დიდია, არამედ იმიტომ, რომ რუსების სულიერი სიძლიერე განუზომელიაო.

**სტოკჰოლმი,** 13 ივლ. ბერლინიდან იუწყებიან: გერმანიის პრესა ამერიკის ნოტას არასასურველად სთვლის და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმ გარემოებას, რომ გერმანია თავის არსებობისთვის იბრძვის. მართალია, გერმანიისთვის ამერიკასთან კეთილი განწყობილება მეტად ძვირფასია, მაგრამ ეს მეგობრული განწყობილება მისთვის უმაღლეს ბედნიერებას არ წარმოადგენს. შემდეგი დათმობა გერმანიის თავმოყვარეობის დამამცირებელი იქნება. წყალქვეშათი ბრძოლა უნდა გაგრძელდეს. „პოსტ“-ი მოითხოვს, რომ გერმანიის პასუხი იყოს „არა“. „ფოსიშე ცაიტუნგი“ სწერს, რომ ამერიკა ცდილობს გერმანიის შესუსტებას მტრების სასარგებლოდ და ეს კი არაფერი ნეიტრალობააო.

**აბერდინი,** 13 ივლ. ჩრდილოეთ ზღვაში გერმანიის წყალქვეშამ ჩასძირა გემი „ფერტი“. მეზღვაურებიდან 6 კაცი გადაარჩინეს, დანარჩენი 4 დაიღუპა. კიდევ ჩასძირეს ნაღმიკრეფია „ბრიტონი“. ექვსი მეზღვაური დაიკარგა.

**ათინა,** 13 ივლ. ოსმალებმა სამი წყება თხრილები დაჰკარგეს. ოსმალთა ჯარებს გული გაუტყდათ, როდესაც სანდერსის მოადგილე ენვერ ფაშამ მოკავშირეებზე იერიში მიიტანა, მაგრამ მაინც ვერას გახდა.

ტახტის მემკვიდრე პრინცი იზედინი მრავალ ოფიცერთა თანხლებით ბრძოლის ასპარეზზე გაეშურა.

**რომი,** 14 ივლისი. მდ. იზონცოზე იტალიელები არტილერიით იერიშით გაემართნენ ავსტრიელებისკენ. მარცხენა ფრთაზე დასავლეთით მათ დაიჭირეს ტყის დიდი ნაწილი. ყოველ მხრით სასტიკი ბრძოლაა. ტყის მეორე ნაწილზე ავსტრიელები გამაგრდნენ. იგინი მოხერხებულად სარგებლობენ ხელსაროლი ყუმბარებით და მოშხამული გაზებით. ტყვედ წამოვიყვანეთ 1600 კაცი 30 ოფიცერითურთ. დანარჩენ ბრძოლის პირზე თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა.

**ვაშინგტონი,** 13 ივლისი. დიდმა ბრიტანიამ პასუხი გამოგზავნა ამერიკის ნოტაზე, რომელიც შეეხებოდა ბრიტანიის მიერ წარმოებულ ბლოკადას. საპასუხო ნოტაში ნათქვამია, სამეფო საბჭოს განკარგულება შეეფერება საერთაშორისო უფლების დადგენილებას, თუმცა, შეიძლება, ზოგიერთი ცვლილება სჭირდებოდეს თვით პრინციპს ამ განკარგულების გამოყენებისას. დიდი ბრიტანიის აზრით საჭიროა დაუცადონ ამ საკითხის იურიდიულ ახსნა-განმარტებას. მთავრობის სფეროებში ფიქრობენ, რომ ბრიტანიის ნოტა ფრიად თავაზიანად არის შედგენილი. ნოტაში მოყვანილია მაგალითები შეერთებულ შტატების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან, შინაქალაქო ომის დროიდან, რომელი მაგალითები სრულიად ამართლებენ დიდი ბრიტანიის მოქმედებას. ლანსინგმა ნოტა ვილსონს გაუგზავნა კორნიშში.

**რომი,** 14 ივლისი. ოფიციალი ცნობა. კუნძულ ჰელოგოზის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, იტალიელთა ფლოტმა იგი დაიპყრო.

**მოსკოვი,** 14 ივლისი. სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირმა დაათავა კრება. რეზოლიუციებში ცენტრალურ კომიტეტის მიერ ყურადღება მიქცეულია იმაზე, რომ საზოგადოების ნდობა დაიმსახუროს. ქალაქთა მმართველობას ევალება დიდი ყურადღება მიექცეს სურსათ-სანოვაგის საკითხს. ასეთივე რეზოლიუცია გამოიტანეს, რომ საჭირო ზომები მიიღონ, რათა სწრაფი ორგანიზაცია შეიკრას ბანკების, ურთიერთ დამხმარე საზოგადოებისა—და სხვა. ეს კავშირი თავისი მხრით შეეცდება დახმარება აღმოუჩინოს პატარ-პატარა ქალაქებს. სასტიკი ზომებია მიღებული, რათა კოოპერატიულ დაწესებულებათ შეეძლოთ თავისუფალი მოქმედება სიძვირესთან საბრძოლველად. რომ უფრო ადვილად გამოირკვეს ამა თუ იმ მხარის მდგომარეობა, საჭიროდ სცნეს აღწერილობა მოახდინონ თუ ვის რამდენი საქონელი ჰყავს. ბრძოლა სიძვირესთან მით უფრო ადვილი იქნება, თუ სრული თავისუფლება მიენიჭებათ პროფესიულ ორგანიზაციებს და კავშირებსაო.

## შემოწირულება

**წერილი რედაქციის მიმართ.**

ბ. რედაქტორო! დასავლეთ საქართველოში ეს მეოთხე სვე გათავდა, რაც რომ, თითქმის ყოველდღე, გადუღებლად წვიმდა. ამნაირმა შეუზავებელმა ამინდმა ყანები გააფუჭა და ვენახები მოსპო. ვაზს, ყვავილობის დროს, ივნისის თვეში, არც დღე და არც ღამე, მოწმენდილი ცა არ უნახავს და ნესტიანმა ამინდმა მოწევისაგან (რომელიც აპრილის თვეში არგუნა ბუნებამ ჩვენს ვენახებს) გადარჩენილი ნაყოფი მთლად გამოაქრო და ჩამოჰყარა. ამ უბედურებას მეორე უბედურებაც, ბევრად უფრო საგრძნობი და დიდად მაზარალებელი, თან მოჰყვა. რვა მაისს, თექვსმეტსა და, განსაკუთრებით, ოცდა ხუთს ივლისს ისეთი წყალდიდობა იყო მთელ დასავლეთ საქართველოში, რომ ღრმა მოხუცებულებსაც არ ახსოვთ. წყალდიდობამ აურაცხელ სხვა ზარალთან ბევრი ადამიანიც იმსხვერპლა და ჩვენი დაბეჩავებული ოჯახები განსაცდელში ჩააგდო. ერთი ამისთანა უბედურობა 16 ივნისს, როგორც გაზეთი „სამშობლო“ გადმოგვცემს, ლეჩხუმის მაზრის სოფელ თაბორში მომხდარა. ადიდებულ მდინარე „ხელიშურას“ ახალგაზდა ოჯახის პატრონი საწყალი ალექსანდრე ქარსელაძე და მისი შვიდი წლის ვაჟი უმსხვერპლია. ამ საცოდავი ადამიანის ოჯახის უმწეო მდგომარეობა მე, ოცდა ცხრა ივლისს პეტრე-პავლობას ეკლესიაში ნაწირვებს ჩემს მრევლს გადავეცი და მოუწოდე შემწეობის აღმოჩენად. ყველამ დიდის სიამოვნებით, ვინც კი რამდენიც მოახერხა იქვე თავიანთი წვლილი გამოიღო.

სულ შესდგა ოთხი მანეთი და თერთმეტი შაური (4 მ. 55 კ.), რომელიც დანიშნულებისამებრ გავგზავნე.

კიცხის წმიდა გიორგის ეკ. მღვდელი

**მიხეილ ბუაჩიძე.**

---

**1915 წ. 10 ივნისიდან 10 ივლისამდე ქართულ სამკურნალო საზოგადოებას შემოსწირეს.**

ირ. რამიშვილმა 5 მ., „თან აზრის“ რედაქციამ (სხვა და სხვა პირთა შემოწირულებანი) 509 მ. 9 კ., ალექსანდრა მესხიშვილმა 5 მ., „სახ. ფურცლის“ რედაქციამ (სხვა და სხვა პირთა შემოწირულებანი) 550 მ., თბილისის ქალაქის თავმა (მოსკოვის მოსამსახურეთა კომიტეტის შემოწირულება) 250 მ., ჰაჯი ზეინალ აბდინ თაღიევმა (აჭარლების სასარგებლოდ გამართ. საღამ.) 100 მ., მოსკოვის ქართველ საზოგადოებამ („საქართველოს რედ. საშუალებით) 200 მ., არხიმანდრიტ ნაზარმა (გადმოც. „საქარ.“ რედაქციამ) 28 მ. მურთუზა მუხთაროვმა (აჭარლ. სასარგებლოდ გამართულ საღ., 100 მ., ჭრა-კერვის სკოლის შეგირდებმა 20 მ., რაჟ. ექვთიმიშვილმა (აჭარ. სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენისაგან) 9 მ. 85 კ., გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობამ 100 მ., აჭარელთა სასარგებლოდ გამართულ საღამოს წმინდა შემოსავალი 700 მან. სულ 2576 მ. 94 კაპ.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

---

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| თბილისიდან | . . . 8 ს. 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | . . 8 „ 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | . . 8 „ 58 „ | „ |
| ვაზიანიდან | . . . 10 „ 06 „ | „ |
| ივრიდან | . . . . 21 „ 15 „ | „ |
| საგარეჯოდან | . . . 11 „ 58 „ | „ |
| ბადიაურიდან | . . . 12 „ 56 „ | „ |
| ელაანიდან | . . . . 2 ს. 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან | . . . 3 „ 37 „ | „ |
| კარდენახიდან | . . . 4 „ 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე | . . . 4 „ 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | |
|---|---|---|
| გურჯაანიდან | . . . 3 ს. 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან | . . . 4 „ 33 „ | „ |
| თელავში | . . . . 5 „ 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| წნორის-წყლიდან | . . 8 ს. 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | . . . 9 „ 41 „ | „ |
| გურჯაანიდან | . . . 10 , 24 „ | „ |
| მელაანიდან | . . . 11 „ 39 „ | „ |
| ბადიაურიდან | . . . 12 „ 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან | . . . 2 „ 80 „ | „ |
| ივრიდან | . . . . 2 „ 50 „ | „ |
| ვაზიანიდან | . . . 3 „ 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | . . 4 „ 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | . 5 „ 13 „ | „ |
| თბილისში , | . . . 5 „ 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | |
|---|---|---|
| თელავიდან | . . . 8 ს. 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | . . . 2 „ 58 „ | „ |
| გურჯაანში | . . . 10 „ 07 „ | „ |

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბაქოდან | . . . 12 ს. 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან | . . 5 ს. 55 წ. | საღ. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. | საღ. |
| № 10 ბათომიდან. | . 9 ს. 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან. | . 6 ს. 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . | 7 ს. 25 წ. | დილ |
| „ საგარ. | 10 ს. 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ | . . 1 ს. 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ | . . 7 ს. 3 წ. | საღ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ | . . 8 ს. 53 წ. | საღ. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. | დღ. |
| „ საგარ. | 8 ს. 28 წ. | დილ. |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„სამშობლო“**

(გამოდის ქუთაისში)

ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით

**გაზეთი ღირს:**

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“**. ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. ცინცაძე.

---

**წიგნის მაღაზია**

**„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).**

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—22)

---

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეძველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვილ**“, სამრეწველობიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოხნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

ძსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.